



ლიტერატურული მესხეთი

№1 (181)
იანვარი
2014 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთაქვსება და წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ავთანდილ ივანიკა

სმა თამარისი

თუმც მუფეთ-მუფე ვიყავი,
სინამე მჭონდა ენმელის...
თქვენ რად ვერ მოიმიოქმედეთ,
მე რაც დიაცმა შეგებელი!

მამულს ვუბრდიდი რანინდებს:
ტარიელს, ფრიდონს, ავთანდილს...
სამშობლო გადავაწვდინე
ნიკოფსით დარტყბანდამდის.

თუმც ქალი ვიყავ, ვაყვაცზე
არაფრით ვიყავ ნაკლები,
სად აღარ დამიდიოდან
ქვეყნისთვის ხარკის ამკრეფი.

სულ სხვას რად თხმობთ სანუკლად,
ქედმოხრითა და მთედართ...
შეელას აქეთკენ მე მთხოვდა
უცხო – შაჰი თუ სულთანნი.

მხარი მიეცით ერთმანეთს,
ჩემი ლოცვა და ვედრება
გსმენოდეთ, ღმერთმა გაკურთხოთ
დატუმარცხებელ მხედრებად.

ბალა თუ არ სჭრის თქვენს დროში,
სიტყვა სომ ხმალზე ბასრია, –
თქვენი სიმართლე აჩვენეთ
ევროპასა და აზიას.

მე ზოგან ხმალი დავკარი,
– მშვიდობა ბრძოლით ფოფინებს...
ვისთანაც ბრძოლა არ სჭრიდა,
ის სიტყვით დავიმორჩილე.

ქართველი თვითონ შეელოდა
გულის თუ ქვეყნის იარებს,
ამიტომ გლეხკაცს მამულში
უცხო არ ჩავუბიარე.

თქვენამდე მოსწვდა რუსთაველის
ქართული სიტყვის ნათელი,
ღმერთმა თქვენც გაგაზრდევინოთ
მისი ბადალი ქართველი.

აღმშენებლობაც ვიცოდით,
მონასტერთა და ციხეთა,
არ გამიშვია ქვეყანა
ნაწყალობების იმედად!

წმინდანად შევჩი ქვეყანას,
ხატად – ვარძიის ჰალატებს,
ქართველებს ჩემი ლოცვა და
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ!



ანჟურის

ფოტო ლევან თითმარიანსი

„დიდად სამეფაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რაკლავა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების განხორციელებისათვის ხდება კანონმდებლობის შეცვლა და სხვა; ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრედიტირების ნიაღვარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია“!

საქართველოს ქართული-მეწიარის იდეის პირობა „სამოღვათის უმცირესობათა“

მაღე ოცი საუკუნე შესრულდება, რაც წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლიდან მოყოლებული, დღევანდელი ჩათვლით, ქრისტიანობა ქართულ კულტურაში წარმართველ როლს ასრულებს და ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას აწესრიგებს. საქართველოში ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში, ერთადერთი სახელმწიფო რელიგია იყო, რომელსაც ქართველი ერი ყოველთვის იცავდა, როგორც ღვთისგან მომადლებულ ერთ-ერთ საუნჯეს და რომელიც თავისი მომავალი სულიერი ცხოვრების საწინდრად ევლინებოდა. ეს არ არის მშრალი ისტორია ქრისტიანობისა საქართველოში. ჩვენ სწორად უნდა გავიაზროთ, რა როლი და ფუნქცია დაეკისრა ქრისტიანობას ქართველი ერის ცხოვრებაში და რამდენად იდენტური გახადა მან ეროვნული მეობა. სწორედ ქრისტიანობამ, როგორც კულტურის მატარებელმა და სულიერებაზე ორიენტირებულმა რელიგიამ, ჩამოუყალიბა იდენტობა, ეროვნული მეობა ქართველ ერს. გავისხენოთ X საუკუნეში გიორგი მერჩულეს გამოთქმული ეროვნული მეობის განმსაზღვრელი, საუკუნეების მანძილზე ფორმულად ქცეული, დებულება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კირიელისონი ბერძულად ითქუმის“; საქართველოდ იწოდება ის ქვეყანა, სადაც ქართული ენა სახელმწიფო ენა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია. ის, რაც ბოლოსაა ნათქვამი – „კირიელისონი ბერძულად ითქუმის“, ქრისტიანულ საქართველოს დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან აერთიანებს. ეს მეათე საუკუნეში ითქვა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, 1861 წელს, ქართველი ერის სულიერების მიძინების ჟამს, ერის მამამ – ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მაშინ მხოლოდ 23 წლისა იყო, თავისი პირველი პუბლიცისტური სტატიის – „ორიოდე სიტყვა“ – ბოლოს ხალხს შეახსენა, რომ სამი რამ დაგვრჩა წინაპართაგან, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამით არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო“. ქვეყნის ქვაკუთხედი, არსებობის საძირკველი, ამ სამი კომპონენტის ერთიანობას ეფუძნება, რომელთაგან ერთის გამოკლება ან მოშლაც უკვე უდიდეს საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ იდენტობას.

დავაკვირდეთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ ქართული მოდგმის ტომებს, რა მდგომარეობაში არიან ისინი ამჟამად? უცხო ქვეყნებში იურისდიქციაში მყოფი ისტორიული მხარეები: ერუშეთი, შავშეთი, იმერხევი, ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ლაზისტანი, შემდეგ XX საუკუნეში მათ მიემატა საინგლო, სოჭი, ლორეს-ტაშირი, ხოლო ბოლო ხანებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატუსი ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულია, რაშიც თვით ქართველებსაც დიდი წვლილი მიუძღვით... ეს ყველაფერი ხომ ძველი საქართველოა?! ამ ტერიტორიებზე ახლაც ბევრი ქართველი ცხოვრობს, – თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ქართულ მხარეებში ათა თურქის პერიოდიდან მოყოლებული, ბევრი ქართველი აპყარეს და გადაასახლეს შუა თურქეთში, სხვა ტომების წარმომადგენლებთან ერთად, რათა ეროვნული მეობა, ეროვნული იდენტობა ნაშლილიყო. ვინც დარჩა, მათაც ქართულად სწავლა-განათლების უფლებების უქონლობის გამო, არ შეუძლიათ შექმნან ქართული კულტურა. ძალზე გულდასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია, რომ გამუსლიმებულმა ქართველებმა, XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული, ვერ შექმნეს ქართული კულტურა. მათში არა მხოლოდ წაიშალა ქართული კულტურის განვითარების გზები და გეზი, არამედ, საერთოდ, ეროვნული მეობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ ქართველი ტომები, ძირძველი ქართველი მოსახლეობა, რადგან მათგან ენის შენარჩუნება ძალიან ცოტამ თუ შეძლო. მართალია, მათ ახსოვთ თავიანთი ისტორიული წარსული, აქვთ ისტორიული მესხიერება, მაგრამ ქართული წიგნიერი კულტურის წარმომადგენლები აღარ არიან. არადა, XVII საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ათასწიერი რელიგია შემოდიოდა, განსაკუთრებით ძალიან მომძლავრებული იყო მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებში კათოლიკობა, პარალელურად, – სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში – მაჰმადიანობა, საქართველოში ქართული კულტურა აგრძელებდა ქმნაობას, არსებობას და ძლიერ

კულტურული მონაპოვრებიც გვაქვს. ამ პერიოდის მოღვაწეები მრავალმხრივი, ენციკლოპედიური განათლების მქონენი, ეროვნულ ინტერესებზე იყვნენ ორიენტირებულნი. სწორედ ამ ურთულეს პერიოდში შეიქმნა სამედიცინო, სამართლებრივი, გეოგრაფიული მეცნიერების წიგნები, მდიდარი მხატვრული ლიტერატურა და ისტორიული ლირიკული მემკვიდრეების წიგნები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერი ერი იამაყებდა. ერთი რამის თქმა გადაჭრით შეიძლება:



მამული, ენა,

ნესტან სულავა

საქართველო და ქართველი ერი დღევანდელ მდგომარეობაში მოიყვანა, შეუნარჩუნა მას იდენტობა, ეროვნული მეობა და შექმნა ის კულტურა, რაც ჩვენ შემონახული გვაქვს დღემდე. დასაანია, რომ ახლა ამის ნიველირება ხდება სხვა რელიგიებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების შეფუთვით, რაც მართლმადიდებლობის დაუცველობის, მისი პრინციპების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე ხდება, რაც, ფაქტობრივად, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რელიგიებს. უნდა ითქვას, რომ სხვა რელიგიათა შემწყნარებლობის ფონზე, ტოლერანტობის ფონზე, მართლმადიდებლობა დაცვას მოითხოვს. ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით უმცირესობაში არ არის ქრისტიანობა, რადგან 20 – 25 წლის წინ ჩამოყალიბებული სექტები იმდენად მომძლავრებული არიან და მათ უფლებებს ზოგიერთი სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ომბუდსმენის აპარატიც კი ისე იცავენ, თითქოს მათ ვინმე ჩაერაგდეს. როგორც კი ოდნავ მაინც მათ უფლებებს შეეხება ვინმე, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები მყისვე თავს წამოყოფენ და მთელი პრესა, ტელევიზია იმაზე საუბრობს, რომ უმცირესობათა უფლებები ირღვევა. არავინ აქცევს ყურადღებას იმაზე, რომ ამ დროს უმრავლესობის უფლებები ირღვევა. ჩვენი, მართლმადიდებლების, უფლებები ირღვევა მაშინ, როდესაც მათ უფლებებს იცავენ ამ საზოგადოებების წარმომადგენლები. ამას წინათ ინტერნეტში წავიკითხე – 17.500-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში (თავს ვერ დავებ ამ ინფორმაციის სისწორეზე). საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა 4 მილიონია ან ცოტა მეტი. მაინტერესებს, თუნდაც ხუთმილიონიანი ერში, 17.500 არასამთავრობო ორგანიზაცია რისი მაქნისია? რისთვის არსებობს? რატომ არ ტარდება მათ მიმართ რაიმე სახის მონიტორინგი? საინტერესოა, ვინ აფინანსებს მათ? ნუთუ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულნი არ უნდა იყვნენ, რამი, რისთვის ეძლევათ ეს გრანტები და რას ემსახურება ეს ხარჯები? ამას იმიტომ ვამბობ, რომ, პირველი რიგში, ყოველთვის ისინი იღებენ მას ანატ-

რადიკული რელიგიებისა და არატრადიციული მიმდინარეობების დასაცავად იმ მოტივით, რომ მათი უფლებები ირღვევა, შესაბამისად, მხოლოდ მათ უფლებებს იცავენ. ვფიქრობ, მათი დიდი ნაწილი ტოლერანტურობას შეფარებული, ანტიეროვნული ინტერესების გამტარებლები არიან. რა თქმა უნდა, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ უმეტესობა, ვინც ამ საკითხებს ეხება და რელიგიური ტოლ-

ლება დასახლდეს, – 17 მაისისა და ქვლას მაგალითი. ამ საკითხებზე შედარებით მეტი ცნობები მაქვს საინფორმაციო წყაროებიდან, თორემ, მათი საქმიანობის არაოპიკტურობის შემთხვევა უამრავია. მაგალითად, რა საჭირო იყო ამხელა ამბის ატეხვა 17 მაისს? რომელი მიმდინარეობისა და ორიენტაციის წარმომადგენელიც არ უნდა იყო, იყავი შენთვის, გეხება ვინმე?! რატომ გინდა ამის აფიშირება?! რატომ გინდა, რომ ალღუმები მოაწყო?! ეს ხომ არის გამაღიზიანებელი უმრავ-



რანტობის საკითხი სამსჯელოდ გამოაქვს, ასეთია. ისინი, ვფიქრობ, საქართველოში დივერსიულ საქმიანობას აწარმოებენ. თუმცა, ჩემთვის ცნობილია რამდენიმე ისეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ნამდვილად არ არის და კეთილშობილურ მიზანსაც ემსახურებიან, მათ დაფინანსება საკმაოდ მუხლუდული ან სულაც არა აქვთ. არასამთავრობო ორგანიზაციის ქმედებებთან დაკავშირებით ორი მაგალითი შეიძ-

ლესობისთვის და ისეთი დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა, როგორც საქართველოა, ამას ვერ შეეგუება! რა თქმა უნდა, სიმკაცრისა და სისხლისღვრის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, მოვლენები ცალმხრივად არ უნდა შეფასდეს. არც სამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ მართალნი, რომ ვერ შესძლეს უსაფრთხოების დაცვა, ეს მათი სისუსტის გამოვლინება იყო. არ შეიძლება ნებისმიერ ადამიანს, რომელიც სხვაგვარად ფიქრობს და ცხოვრობს, ძა-

ლის გამოყენებით აუკრძალო აზრის გამოთქმა, მაგრამ, დავსვით კითხვა: რატომ მოუწიათ მოწვევით ასეთი ალღუმი მაინცდამაინც რუსთაველის პროსპექტზე, მაინცდამაინც პირველი სკოლის წინ და მაინცდამაინც წმინდა ადგილის წინ – ქაშვეთის მონასტერთან? ეს ხომ ამჟამად პროვოკაცია იყო. როდესაც ხალხი ქუჩაში გამოდის, იქ უკვე ზომიერების დაცვა ძნელია. თუ ისინი, ვისაც შეეხნენ, ცოდნით არიან და მათ უსამართლოდ მოექცნენ, სხვები, ვისაც მორალური ტრავმა და შეურაცხყოფა მიადგინეს, დაჩაგრულნი არ არიან? მათ მორალს, ზნეობასა და შინაგან მეობას არ შეეხნენ უმცირესობათა წარმომადგენლები? ეს ყოველგვარ გამრუდებულ გზად მიმართულია და რატომ უნდათ, რომ ამ გამრუდებული ცხოვრების მოწმედ გაიხადონ მთელი საზოგადოება? მით უფრო, მოზარდი თაობა, რადგან ეს პირველი გიმნაზიის წინ ხდებოდა, იმ დიდი ტრადიციის მქონე გიმნაზიისა, რომელიც თავის დროზე დამთავრებული ჰქონდათ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ივანე ჯავახიშვილს, ქართველი ერისთვის მრავალ სასიქადულო პირს... იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში ასე ხდება? არ ხდება ასე მსოფლიოში? უმტკივნეულოდ ეს არსად ხდება, იმიტომ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ზნეობრივი საზოგადოებისთვის ამგვარი ალღუმები მიუღებელია.

რაც შეეხება ჭეღაბს მაგალითს: აქ კანონით არ არის ბევრი რამ დარეგულირებული, რელიგიის შესახებ ისეთი კანონი არ არის მიღებული, რომელიც რელიგიათა შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს. უნდა განიმარტოს, თუ რა იგულისხმება ამას. როდესაც მინარეთს ამონატავენ, იგი აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ იქ მოლას ლოცვა, მოლას ხმა უნდა ისმოდეს უსათუოდ. თანამედროვე მინარეთები ხმის გამაძლიერებლებით

ქრისტიანი, მართლმადიდებელი იყო. ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელმა პატივი უნდა სცეს სხვა ერის რელიგიას, მაგრამ ეს ზომიერების, კანონიერების სფეროში უნდა იყოს და არა ისე, ერთი რელიგიისადმი ტოლერანტობით მეორე რელიგიას იყოს დაჩაგრული. ერთ რელიგიას ყველაფრის უფლება ჰქონდეს, ხოლო მეორეს თავისი მეობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სჭირდებოდა.

ჩატარდება თუ არა საქართველოში მსგავსი რეფერენდუმი? ან როგორ შეაფასოთ მთავრობის სახელით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად მან სოფელ ჭელას მუსლიმ მრევლს მოუწოდა, რომ მიმართონ კანონით დადგენილ სტრუქტურებს მინარეთის აღმართვის კანონიერი უფლების მოსაპოვებლად?

პასუხი სავსებით გარკვეულია: რეფერენდუმი არ ჩატარდება! გეტყვით, რატომ არ ჩატარდება. ასეთ შემთხვევაში აბსოლუტური უმრავლესობა იქნება მართლმადიდებლობის მხარეზე და იმთავითვე განწირულია მინარეთის აღმართვის პრობლემის რეფერენდუმზე დაყენების საკითხი. რაც შეეხება რეინტეგრაციის მინისტრის განცხადებას, მიმართა, რომ ეს პოპულიზტური განცხადებაა. დავსვით თურქეთში ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, ერუშეთის, კოლა-არტანუჯის, იმერხევის ტერიტორიებზე ქართული ეკლესიების მოქმედებას? არის სადმე ქართული ეკლესია მოქმედი? არასდ! კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხსაც შევხებით: ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა საინგილოში? იქაც ხომ ცხოვრობს ქართველი და ქრისტიანი მოსახლეობა? თურქეთში, როგორც იქნა, იმხნის ტაძრის აღდგენა ახლა დაიწყეს. ისიც მხოლოდ ტაძრის აღდგენაზეა

გის საკმაოდ კარგი სპეციალისტები გვეყვანან, მაგრამ მათ აზრს არ ეკითხებიან, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენი ტელევიზიაც და პრესაც იფარგლება ერთი და იმავე წრით, ყოველთვის ერთი და იგივე ექსპერტები ჩანან, თითქოს საქართველოში მხოლოდ ე.წ. ცნობადი სახეები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ; ეს ძალიან დიდი ნაკლია ჩვენი მასმედიისთვის. კონფლიქტოლოგიაშიც რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა. არის რელიგიური, ეთნიკური, სოციალური, მაგრამ, საერთოდ, რა მიმართულებასაც უნდა შევხებით, ერთი რამ მინდა, ყველამ იცოდეს, რა არის კულტურა და როგორი მიმართება აქვს პოლიტიკასთან. კულტურა კაცობრიობის მონაპოვართაგან და მეცნიერებათა შორის ყველაზე მაღალი საფეხურია. თვით პოლიტიკაც, რომელიც ესოდენ პოპულარულია ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც, კულტურის ნაწილია, ამიტომ უნდა ვიცოდეთ და ვფლობდეთ პოლიტიკის კულტურას, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში ძალიან მოიკოჭლებს. ჩემი სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე შემიძლია განაცხადო, რომ ლიტერატურა არის კულტურის ნაწილი, რომელსაც ერის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველის მისია აკისრია. ლიტერატურა კაცობრიობის სულის ნაწილია და მისი მომავალი ცხოვრების ერთგვარი წინასწარმეტყველებაცაა. მაგრამ გულისტკივლით უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი ლიტერატურა დაუფასებელია. მაგალითისთვის გეტყვით: 2007 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ ორ ენაზე – ქართულად და რუსულად. რუსულად სლოდონოვ იორდანიშვილის პნარეფული თარგმანი დაბეჭდილი. მე დიდი პატივი მხვდა ნილადა, რადგან, ამ ნიგისთვის დართული სამეცნიერო გამოკვლევისა და კომენტარების ავტორი ვახლავართ. ეს იყო პარიტეტული გამოცემა, ფაქტობრივად, სა-

ლი მკითხველისთვის, საზოგადოებისთვის. ეს ტელევიზია ხომ საზოგადოებრივი მაუწყებელია, რომლის მუშაობისთვის მეც ვიხდები და ვიხდი გადასახადს ჩემი ხელფასიდან. იცით, რა განაცხადეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურში? ეს მკვდარი თემაა და აღარავის აინტერესებსო. ძალიან სამწუხაროა, რომ ამგვარად მოაზროვნების ხელთ იყო საზოგადოებრივი აზრი (არ ვიცი, ამჟამად შეცვლილია თუ არა ეს დამოკიდებულება), რადგან ჩვენი საეზიტო ბარათი შოთა რუსთველია, თურმე რუსთველი მკვდარი თემაა. შოთა რუსთველის პოემა გამოვიდა რუსეთში, ჩვენდამი იმპერიული პოლიტიკური ინტერესების მქონე ქვეყანაში, და პოლიტიკური დაპირისპირებების გამო, თურმე, ეს საკითხი აღარ უნდა გაშუქდეს. ამიტომაც გითხარით, რომ პოლიტიკა კულტურის ნაწილია და ჩვენში პოლიტიკის კულტურა ძალიან მოიკოჭლებს. კულტურა ხელშეუხებელი მარადიულობაა, პოლიტიკა მუდმივად ცვალებადია; ასევე ყველა დანარჩენი მეცნიერებაც. კულტურა არის ის, რაც საუკუნეების სიღრმეში მომდინარეობს და მომავალს სწვდება. მე ვიტყვი, რომ ძალიან ბევრი დააკლდება სამყაროს და მსოფლიო კულტურას, თუ ქართულ კულტურას ჩვენ არ შევინარჩუნებთ ისეთს, როგორადაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა და შემოგვრჩა. ის დანარჩენ მსოფლიოსაც არ დააინტერესებს, თუ მან თვითმყოფადობა დაკარგა. რასაკვირველია, შემოდის ბევრი სიახლე და ის თავის ადგილს იჭერს, მაგრამ, ძირითადი ეროვნული ხაზი არ უნდა დაიკარგოს. ნაიშლება ეროვნება და სულიერება, თუ ეს დაიკარგება.

სტატისას ისევე ილია ჭავჭავაძის სიტყვებით დავასრულებ: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთიან და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდო... მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცმეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღწეველი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგე-


სარწმუნოება

მუშაობენ, დაყენებულია დინამიკები. წარმოვიდგინოთ, რამხელა რეზონანსს იწვევს იგი, მისი ხმა მთელი ხეობისთვის გასაგონი ხდება. ვინც თურქეთში ყოფილა, ეს ძალიან კარგად იცის. ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ, მაჰმადიანურ სამყაროში, ამგვარი მინარეთი ყველგან არ არის, ამიტომ რამდენად აუცილებელია, ეს იყოს საქართველოში? ჩვენ ხომ არა ვართ მაჰმადიანური ქვეყანა, ჩვენი ტოლერანტურობა არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ ყველას ყველაფრის უფლება მიეცეს და ამ ფონზე მართლმადიდებლობა დაიჩაგროს. როდესაც მუსლიმი სასულიერო პირი დაიწყებს ლოცვას და მოწოდებას, მართლმადიდებელი მრევლის წარმომადგენელი უფლებადარღვეული იქნება იმიტომ, რომ მას არ ექნება იმის მოსმენის სურვილი. ილია ჭავჭავაძის სიტყვების დავიმოწმებ: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტიკრიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებლად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამი დამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფროთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დულაბობას უწევდა ერთობასა“. ამიტომ ეს ყველაფერი, რელიგიური პრობლემა, რეფერენდუმით უნდა მოწესრიგდეს. რეფერენდუმზე უნდა დადგეს საკითხი, იყოს თუ არა საქართველოში მინარეთი. საკანონმდებლო დებულებები თუ არ იქნება შემუშავებული, ისე არაფერი გამოვა. შეიქცარიამი რეფერენდუმზე დააყენეს საკითხი და მოსახლეობამ არ მიიღო ის, რომ მჭეთებს მინარეთები გაკეთებოდა და მუსლიმი სასულიერო პირის ლოცვა ყველა რელიგიის წარმომადგენელს ესმინა. პრობლემა უმტკივნეულოდ გადაწყდა. იყო თუ არა ეს ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა, არა! ეს მხოლოდ იმით შეუძლიათ გააპროტესტონ, ვინც თავიანთ რელიგიურ მრწამსს საზოგადოებას თავს ახვევენ. ქართველი ერი არასოდეს ყოფილა რელიგიურად არატოლერანტი, რისი ჩინებული მაგალითი ქართველთათვის სათაყვანებელმა მეფემ – დავით აღმაშენებელმა მოგვცა, რომელიც მეჩეთშიც შედიოდა მაჰმადიანური რელიგიისათვის პატივის მისაგებად, რათა ეჩვენებინა, რომ მხოლოდ ქრისტიანთა მეფე არ იყო, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა აღმსარებლობის მქონე მოქალაქის მეფე იყო. მაგრამ იგი უწინარესად

საუბარი, ღვთისმსახურებაზე – არა! ამდენი საუკუნეა, ეკლესიები ინგრევა და არასოდეს, არც ოსმალების იმპერიის პირობებში და არც თურქეთის სახელმწიფოს არსებობის პირობებში, თურქეთის მხრიდან, არავის უფერია ამ ეკლესიების აღდგენა. პირიქით, მეჩეთები იყო იქ განთავსებული. ახლაც ასეა პარხალსა და ხახულში.

პრობლემის მოსაგვარებლად უნდა შეიქმნას საკანონმდებლო დებულებები, მაგრამ კიდევ მორიგი კითხვა დაისმის: კანონებსაც ხომ ადამიანები ქმნიან და თუ საკანონმდებლო ორგანოში არიან ისინი, ვინც საზოგადოებისათვის მიუღებელ დებულებებს აყალიბებენ, შექმნიან კი ისინი საზოგადოებისთვის მისაღებ კანონს? საქმე ისაა, რომ საზოგადოება ირჩევს იმას, რისი ღირსიც არის თვითონ. ეს მოსაზრება ბრძენ ადამიანებს აქვთ ნათქვამი. ჩანს, რომ უკეთესს ჩვენი საზოგადოება ჯერ-ჯერობით არ იმსახურებს. მოციქულ პავლეს ეპისტოლეებში გვხვდება ასეთი სიბრძნე: „ერთისა შეცოდებისაგან წარწყმდების ერი მთელი.“ ერთი ადამიანის შეცოდება მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. ერთ მაგალითს მოვიყვანთ ქართული ჰაგიოგრაფიიდან: რატომ იტრეს აფოც ეპისკოპოსმა და იაკობ ხუცესმა, როდესაც შუშანიკის სასახლიდან წასვლისა და ვარსკენ პიტიახშის გამაზდიანების ამბავი გაიგეს? ცოდვათა ჩვენთა წარმოჩინებისათვისო, – ამბობს იაკობ ხუცესი. რა ცოდვაზეა ლაპარაკი? იმაზე, რომ მათ ვერ შესძლეს ვარსკენის შენარჩუნება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და მისმა ერთმა ნაბიჯმა – მაზდეანობაზე გადასვლამ, მთელ ერს უდიდესი საფრთხე შეუქმნა. ისიც გავისხენოთ, როდესაც სოდომ-გომორის დანგრევის პრობლემა დადგა და ღმერთმა თქვა, თუ 10 მართალი იქნება, არ დავანგრევ ქალაქებსო, არ აღმოჩნდა ის 10 მართალი და დაინგრა სოდომიც და გომორაც.

ეს პოზიცია არაა მხოლოდ ქრისტიანული კულტურის სპეციალისტის მიერ გამოთქმული, ეს მცდარი გააზრება იქნებოდა აქ გამოთქმული შეხედულებებისა. პირიქით, მსგავსი საკითხების განხილვისას ადამიანი მიუკერძოებელი უნდა იყოს. თუმცა, ერთი რამ უნდა აღინიშნოს, ნებისმიერი ადამიანი, რაოდენ განათლებულიც უნდა იყოს, სუბიექტურობისგან დაზღვეული არ არის, რადგან ყველას აქვს თავისი ინდივიდუალური ხედვა. ამიტომ, აბსოლუტური ჭეშმარიტება არც არავისგან შეიძლება მოდიოდეს, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ღმერთი გვასწავლის. საერთოდ კი, ამგვარ საკითხთა შეფასებისას კონფლიქტოლოგებს მეტი ეთქმით, ჩვენ კონფლიქტოლო-



საჩუქრო გამოცემა, რომლის მხოლოდ მცირე ოდენობა ჩამოაღწია საქართველოში, აქ იგი არც გაყიდულა. როდესაც წიგნი ჩამოვიტანე, მოვიხილეთ, პირველი სატელევიზიო არხის, საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით, კერძოდ, დილის საინფორმაციო გადაცემაში წიგნის შესახებ ცნობა მიმზადებინა ქართვე-

ბისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასნიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.“

წუნდის ეკლესიასთან, დასავლეთით, ტაძრიდან ათიოდე მეტრის მოშორებით, ქვითკირის შენობის ნანგრევებია. ჩემ ბავშვობაში, კედლები კიდევ არსებობდნენ, ხოლო სახურავი თუ ჰქონდა, ჩვენ სოფელს არც კი ახსოვთ.

ის შენობა ერთ ბეგს აუშენებია. საიდან მოვიდა ან საიდან ჰქონდა ის სიმდიდრე, ამდენი ბალ-ვენახები რომ იყიდა, არავინ იცის.

როცა სახლს აშენებდა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის უკითხავს თურმე, ამ მხარეში ვინ გამოირჩეოდა სიბრძნით და სიმდიდრით.

– აქ, ბატონო, შენზე მდიდარი და ჭკვიანი კაცი არავინ გვეგულება, თუმცა ქართველებში ვიცით მხოლოდ ერთი კაცი, რომელსაც უამრავი ცხვარ-ძროხა ჰყავს, მის ფარას

რას მიუჯდა, რომ მაგიდამ, თითქოს ცელი გამოუსვსო, ზღართან მოადინა და ერთი მტკაველით დააბლდა. აშკარა იყო, მაგიდას ფეხები გადაჭრილი ჰქონდა და წკიპზე იდგა, მასზე ოდნავ შეხებასაც, მისი დადაბლება უნდა მოჰყოლოდა.

ივანე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბოდიშის მოხდასაც აპირებდა, რომ ბეგმა ღიმილით უთხრა:

– ნუ ნაღვლობ, მეგობარო, ეგ შენუხებად არ ღირს, ახლავე მოველება საქმეს.

და ბეგმა ტამი შემოჰკრა.

ტამის ხმაზე ორი მოსამსახურე შემოვიდა და ბრძანების მოლოდინში გაისუსნენ.

ბეგმა რაღაც წასურჩულა ერთ-ერთს მსახურს და ისინიც გაუჩინარდნენ. არ გასულა ცოტა ხანი, რომ საქმიანი გამომეტყუ-

სასველშივე შეეგება ივანე და რა დაინახა ბეგი ასეთ მდგომარეობაში, მიზეზი ჰკითხა. აქ კი, თავი ვეღარ შეიკავა ბეგმა და საყვედურებით აავსო მასპინძელი:

– სოფელში ცხოვრობთ და ერთი ხიდი მაინც არ უნდა გქონდეთ? შენ, მდიდარი კაცი გქვია და ნუთუ იმდენი ფული არა გაქვს, რომ ერთი ხიდი მაინც გაუკეთო საკუთარ სოფელს!

– რადგან შენც შეგანუხა უხილობამ, გამოდის, რომ შენი გასაკეთებელიც ყოფილა, იმიტომ რომ შენც გჭირდება თურმე, მაგრამ ახლა, როცა თოვლი ჯერ ისევ დევს მთებზე და წვიმებია მოსალოდნელი, ხიდი გაკეთებას აზრი არა აქვს, ამაზე მომავალში თვითონ სოფელი იზრუნებს. აქ მთაა, ახლა ძალიან ცივა და ჯობია სახლში შემობრძანდე,

დავს, ბეგს ცრემლები მოსწოლოდა თვალბეზე. ამხელა კაცი თითქოს დაპატარავებულიყო, საცოდავად გამოიყურებოდა.

ტირლის მიზეზი ჰკითხა გულწრფელად შენუხებულმა ივანემ. – ხომ არაფერი გეწყინაო, – შეპბედა.

ბეგის თვალბეზე სევდა ჩამდგარიყო, მერე უხმოდ ანიშნა, – გაჩერდითო. ჩოხა, რომელიც აგრეორივად შევნიოდა, ტანზე შეისწორა და ვაჟებს სთხოვა, ფეხში დაედგათ და ერთრიგად დამდგარიყვნენ.

– ახლა კი მივხვდი, როგორი ბრძენი კაცი ყოფილხარ ივანე და როდენ დიდია შენი სიმდიდრე. მე ოქროთი თვალდავსებულმა ვერც კი მივხვდი, როგორი დიდი შეურაცხყოფა მოგაყენებ ბრძენკაცს, როცა ოქროები და ფარნა-აბრეშუმი შემოგაჩენე ხელში... ჩემი სიბრყვიით, ვერც ვხვდებოდი, რომ, ნაცვლად მასპინძლობისა, სახეში სილას განწავდი, შენ კი მოთმინებით იტანდი ყოველივეს, რადგან, კარვად იცოდი, იმ განწულ სილაზე, ასმაგად მაზღვევინებდი. ახლა, რადგან უკვე ვიცი, როდენ უჭკუო და ღარიბი ვყოფილხარ შენთან შედარებით, გთხოვ, გამიშვა სახლში, რათა ჩემი თავი გამოვიგლო. ამდენ ხანს სულ იმაზე ვფიქრობდი, რატომ დამიტოვე საჩუქრად ქარქაში, სადაც ვერცერთი ხმალი ვერ ჩავაგე, იმიტომ, რომ არავინ ხმალი არ სჭედავს ქარქაშის მოსარგებად. ჯერ ხმალი იჭედება, ინრობა და ამის შემდეგ კეთდება ქარქაში...

ბარაქალა შენს კაცობას და შენს ოჯახს, შენი ერთი ვაჟი ასჯერ უფრო მაღლა დგას მთელ ჩემ ქონებაზე, რაც კი ოდესმე მქონია... აბა, როგორ შეგედრები სიმდიდრით, ოთხი ცოლის პატრონი უშვილოდ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან... აბა, ეს ქარქაში, თავის ხმალი ნამოგავ, რომ დაამშვენოს იგი და უანგისგან დაიცვას. რა საჭიროა სიმდიდრე, რომელიც შთამომავლობას არ მოხმარდება?

ბეგმა ივანეს ნაჩუქარი ქარქაში აიღო და იქვე, დედაბოძზე ჩამოკიდებულ ხმალს წამოაგო, მერე ფეხაკრეფით გავიდა გასასვლელისკენ და უკანმოუხედავად გაუდგა გზას.

ივანე არ შეენიანაღმდეგა ბეგის სურვილს. სოფლის ბოლომდე მიავიდა სტუმარი და გამომშვიდობებისას უთხრა:

– ქარქაში იმიტომ დაგიტოვე უხმლოდ, რომ მე ხმალი სულ შიშველი მქონოდა, ძვირფასო ბეგო. ჩემი მთავარი სიმდიდრე მინაა და ამ სიმდიდრეს უნდა დაცვა და არა ოქრო-ვერცხლს. ის ბალ-ვენახები, რომელიც შენ მაჩვენე, ადრე იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, სადაც შენი სახლი აგებენებია, წუნდა ის ქარქაშია, რომელსაც ვერანაირი ხმალი ვერ მოერგება. მისმა ამშენებელმა სულ და გული მოარგო თარგად. იგი სხვა რჯულის კაცს ვერ იგუბს. ძვირადღირებული ქარქაში გამოუსადეგარ ნივთად იქცა შენს ხელში უხმლოდ, ვერც შენ სახლს აგუბს წუნდის ტაძარი თავისზე მაღლა, არც სიმდიდრეა რაიმეს მთქმელი, თუკი, მარტოკაცს, თავის განსაღიდეზლად ფეხქვეშ გაუგია... შენ წყალმა ცხენი წავართვა და უხილობამ რომ შეგანუხა, საყვედური მე მითხარი, მართალიც იყავი, რადგან ამ მინის პატრონი მე ვარ და ყველაფერი – ავიც და კარგიც, მე მომეკითხება, ჩემი ვალია მასხოვდეს, რომ ჩემი სიმდიდრე მასხოვრობის ნიჭია და შვილებსაც უნდა ახსოვდეთ თუ რას უნდა გაუფრთხილდნენ... შენც უნდა გახსოვდეს – ვინ რით არის მდიდარი და რაზე უდგას ფეხი, რატომ უნდა გავუფრთხილდე მე ჩემსას და შენ შენსას... ახლა ჩემი ხმალი კვლავ ქარქაშია. ღმერთმა ქნას, რომ მისი გამოყენება არ დამჭირდეს. მშვიდობით იარე ბეგო, ეგ ჩოხა ძალიან გიხდება, ატარე ჩემ სახელზე....


გზა მშვიდობისა....

ივანემ შვილები გააყოლა და თან დაუბარა, წყალში იმ ადგილას გადაეყვანათ, სადაც თვითონ მიუთითა.

... ზაფხულში კი, როცა წყალი დაინურა, ბეგმა ივანეს სახელზე, სოფელ მარნისთავის ქვემოთ, თმოგვის ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდი ლოდის ქვეშ, მდინარე მტკვარზე, დიდი ხიდის მშენებლობა წამოიწყა. ჩოხა არ გაუხდია, სახლში აღარ დაუძინია თითქმის, მოსვენებას არ აძლევდა მუშებს, უთენია დაადგებოდა თავზე მძინარეებს და ანიოკებდა, – დროზე დაამთავრეთო. აგვისტოს ბოლოს დაამთავრა ხიდის მშენებლობაც. ბეგი ბავშვივით ხარობდა და სიამაყით გადი-გამოდიოდა ზედ. მერე, ხიდისთავში, კარები შეაბა თურმე და უჩვეულოდ დიდი კლიტე დააო, გასაღები კი ივანეს გაუგზავნა, თან ქალაქი მისწერა. საოცარია, შიგნაწილი საფლავში ისე ჩაიტანა ივანემ, რომ არავისთვის უჩვენებია...

ზელიმხან მალრაძე

ბების ხიდი



მრავალი დაქირავებული მწყემსი აძოვებს, უხვად აქვს მატყლიც, ტყავეულიც, ერბოყველიც და ხეობაში დიდი სიბრძნითაც განთქმულიაო...

ბეგმა მყისვე გააგზავნა თავისი მოჯამაგირე ზედათმოგვში და თემუაანთ ივანე მიიწვია სტუმრად, რომელიც, მართლაც განთქმული იყო სიმდიდრით, სიბრძნითა და რაღაც არაადამიანური ძალ-ღონითაც.

ივანემ მიწვევა კი მიიღო, მაგრამ, ვერ გაეგო, რა განზრახვა ედო გულში ბეგს.

დათქმულ დროს ივანე შეჯდა ცხენზე, ძღვნად გაიყოლა რაც თვითონ ჩათვალა და დაუყვა წუნდისკენ მიმავალ გზას.

თმოგვის ციხესთან, აღმოსავლეთით, მტკვარში, უზარმაზარი ლოდი ედო, მასზე, ოდესღაც, ხიდი ყოფილა გადებული. გადმოცემით, მას თამარის ხიდი ერქვა. როცა თმოგვი განთქმული იყო თავისი სიდიადით, ეს ხიდი მაღლა იწოდა თურმე. მოგვიანებით, ციხესთან ერთად ისიც დაინგრა, შემდგომ, ლოდზე სხვა ხიდი ისევ გადას სოფელს. ჯოლდელი და თმოგველი ქურთებიც, როცა გაზაფხულის წყალდიდობა ყველა ხიდს ერთიანად მოსხვეპავდა და ნაილებდა, ამ ხიდით სარგებლობდნენ. მაგრამ, იმ წელიწადს, ეს ხიდიც წაიღო მოვარდნილმა წყალმა. უშველებელი ხე მოჰქონდა მდინარეს, მერე ლოდზე შემოუგდია, ხიდზე ამოცურებულა, გაჭედვილა, ხიდიც მოუშლია და წაუღეკავს. მას შემდეგ მის ალდგენაზე აღარავის უფიქრია.

ივანე დიდხანს ეძებდა მოხერხებულ ადგილს, პირდაპირ, როყოფდ, არ ეკადრებოდა წყალში გასვლა ბრძენკაცს – ტყუილად თავს არ გაიფუჭებდა. ნელ-ნელა აუყვა მდინარის დინებას და ცხენი იქ შეუშვა, სადაც ნაკლებად ღრმა და მდორე იყო. გალმა მშვიდობით კი გავიდა, მაგრამ დაავიანდა წუნდაში მისვლა და ბეგისთვის დიდი ბოდიშების მოხდა მოუწია.

ბეგი გაშლილი სუფრისკენ გაუძღვა საპატიო სტუმარს. ქამარ-ხანჯალი მოსამსახურემ ჩამოართვა ივანეს და ის იყო სუფ-

ველებითა და კობხად მორთული ბარხატის ნაჭერგადაფარებული საზიდრით დაბრუნდნენ. მასზე ვერცხლით მოჭედილი ყუთი იდო. იქიდან 4-5 მეტრი სიგრძის ოქროს საკმაოდ მსხვილი ჯაჭვი ამოიღეს, ოქროს ლურსმნებითვე დედაბოძზე მიაჭედეს, მაგიდა ერთდროულად ასწიეს და ჯაჭვზე ჩამოჰკიდეს. ბეგმა ამაყად გადახედა ივანეს და სთხოვა სუფრასთან მოხერხებულად მოწყობილიყო.

ახლა კი მიხვდა ივანე, რისთვის მიიწვია ბეგმა და რისი წარმოჩენა სურდა უცნაურ მასპინძელს. თუმცა, არ შეუმჩნევია არაფერი და ჩვეულ საქმედ მიიღო იგი, ისე რომ მასპინძლისთვის თავისი გაოცება არ გამოუხატავს. ბეგი აწრიალდა. სადილის შემდეგ, ოდესღაც, წმინდა მართლმადიდებელი მამების მიერ გაშენებული ბალ-ვენახები დაათვალიერებინა. ივანე მხოლოდ ბოლმას იკლავდა გულში და გრძნობებს გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. საღამოს, ვახშომობის შემდეგ, ბუნეული და ფარნა-აბრეშუმი დაულოგავს ივანეს საძინებელში, მაგრამ ახლაც, ოდნავი გაკვირვებაც ვერ ამოიკითხა ბეგმა სტუმრის თვალბეში. ატლასის ლოგინში გაათია ღამე ივანემ და დილით მთავრად სახლიდან წამოღებული ძღვენი, – ქალებს ზიზილ-პიპილები, ხოლო ბეგს ღამაზად მოჭედილი ხმლის ქარქაში.

დიდი გაკვირვება შეამჩნია ბეგის სახეზე ივანემ. ბეგი ჩააფიქრა მისმა ნამოქმედარმა, მაგრამ ვერა-რა შეჰკადრა სტუმარს.

ახლა ივანემ მიიწვია კვირის თავზე ბეგი ზედათმოგვში...

დათქმულ დღეს ბეგმა შეკაზმა ცხენები, – ერთზე თვითონ შეჯდა, მეორეზე საჩუქრები აპკიდა და მიაღდა მტკვრის ნაპირს. ცხენს დეზი ჰკრა და მდინარის ჩანჩქერს შეეჭიდა, მაგრამ წყალმა არ დაინდო ურჩი მხედარი, – მთელი ავლა-დიდება მოსტაცა აქაფებულმა მდინარემ, რაც მიჰქონდა. ძლივს გადაარჩინეს ბეგი მსახურებმა დახრჩობას, მისი საყვარელი ცხენი კი წყალმა წაიღო.

სასონარკვეთილებადე მისული ბეგი ჩალმის გარეშე აუყვა ზეგანს. სოფლის შე-

დასველებული ხარ, სამოსი გამოიცვალე, იქამდე შეინც გაშრება, ბუხარი უკვე ანთია, ჩემო ბატონო.

ბეგი თავიდან ფეხებამდე ღამაზი ჩოხა-ახალუხით შემოსა ივანემ, ფეხზე თბილი წინდები ჩააცვა და დარბაზისკენ გაუძღვა გულუხვი მასპინძელი.

დარბაზში საკმაოდ მოზრდილი ფეხშუმ-მაგიდა იდგა, რომლის სიმაღლეს მტკაველ-ნახევარს არ აღემატებოდა. მესხეთში მსგავსი ფეხშუმ-მაგიდები საქვევს შორის იდგმებოდა ან მუხლებზე, ან სკამზე ან, საერთოდ, საქვეზე და ჭამის შემდეგ იქვე მიაყუდებდნენ, ან კედელზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე. ფეხშუმი უკვე გაეწყობა ნაირნაირი კერძებით, მაგიდასთან სკამებიც მიედგათ. ბეგი ელოდა რომ ფეხშუმთან ტყავებს დაუფენდნენ, სადაც ფეხმორთხმული მოიკალათებდა, მაგრამ სკამი მთავრად მასპინძელმა და ბარხატის ბალიში დაუღო.

გაოგნებული ბეგი სკამზე დაჯდა და არ ნივივით გადახედა მაგიდას. მაგიდა მუხლებამდეც ვერ სწვდებოდა ბეგს.

ოთხჯერ შემოჰკრა ტამი ივანემ და დარბაზში ოთხი ახალგაზრდა შემოვიდა შინდისფერ ჩოხებში გამოწყობილი, მათ უკან სამი სრულიად ნორჩი ქალიშვილი შემოჰყვა.

– ესენი ჩემი შვილები არიანო, – მიუგო ივანემ და სათითაოდ წარუდგინა ისინი. ქალიშვილებმა მოწინებთ დაუკრეს თავი სტუმარს და დარბაზიდან გავიდნენ.

– აბა, ვინმით პური ჩვენი არსობისა! შვილებო, მომსახურეთ, როგორც ეკადრება საპატიო სტუმარს, ოჯახი არ შეარცხვინოთ! – დიწვად უთხრა ივანემ შვილებს.

ვაჟებმა მაგიდა ხელში აიტაცეს და ასე ეჭირათ იქამდე, ვიდრე უფროსები შეეცდოდნენ. ქალები სუფრას დასტრიალებდნენ და ახალ-ახალი კერძებით ავსებდნენ მაგიდას.

მერე სიმღერა შემოსძახეს ვაჟებმა. ქალებიც აჰყვნიენ ძმებს. ივანე საცეკვაოდ გადავიდა და წრე შემოუარა, ბეგთან მივიდა, საცეკვაოდ უნდოდა გამოეწვია და, რას ხე-

პოეზია

ლაღივარ
ველიჯანაშვილი

ვხივს რქებით
დაგრეხილ მთებს,
ვეფხვის ტყავივით
ფერად წყალ-ჭალებს,
მაგ თვალბევივით
ბრდღვივით მზეს
სულ რომ მანვალებს,
ჩემი სულისთქმა.

ვალაკტიონი

ზოგჯერ ცალ ფეხზე ეცვა კალოში,
მანინც უსწრებდა შელსა და ბოდღერს,
ჭიქა არაყზე ის გირაოში,
ჩადებდა ხოლმე ლენინის ორდენს.

სხვა რამ რა გითხრა
ეჰ, მისს,
ვიცი, ეს ოხვრა მიტანს,
ხმათა ექონი მესმის
იმ მარადიულ ტყვიდან.

ტყვეს გავივლით უსიერს,
ისე მივალთ პიტარეთს,
როგორ ფიქრობთ მუსიე,
ხვალ არ გამოიდარებს?

ჩნდება ყველაზე ადრე იმედი,
ყველაზე ბოლოს იმედი კვდება,
და რა აზრი აქვს, რომ მიმეტყვდეს,
დავიწყებას თუ არ დავიწყებას.

იცოდე, მაგ შენი ღიმილის ღირსებით,
არ ვმალავ, დღედაღამ
ფარულად მარგივებ,
რაც მეტი დრო გადის, ღიმილით ივსებები,
მაგ ღიმილს ქარი კი
კარდაკარ არიგებს.

თუკი ოდესმე შემომაკლდება სითბო, –
მინა თავისას ითხოვს,
და ფერმიხდილი
როცა დავრჩები მარტო,
ო, სწორედ მაშინ,
ო, სწორედ მაშინ
გნატრობ!

როგორც ფერებით დაცლილი ტილო
დავრჩი და ესეც აღარ მოაცვებს,
და როგორც წლებით დაღლილი სპილო,
მივდივარ მეც ჩემს სასაფლაოზე.

ეს რეალობა თუ ვერ იცანი,
როცა იმედი შენი კრედაა,
და თუ არ გწყალობს ქადაგ-მისანიც,
მაშინ იმედიც უიმედოა.

უჩვენოდ, ვით სურთ,
ერთმანეთს ცრიან,
ოპოზიცია და
პოზიცია.

იყო შაშვი მგალობელი
არა ჩემდა,
არა შენდა,
რაც იყო და
რაც არ იყო,
რაც არ არის
არ აშენდა.

სისხლს რომ სისხლით მივსებ,
სისხლთან სისხლი თარეშობს,
ტრაგედია ისევე,
ტრაგედია ნარმოშობს.

ჟამი-ჟამ ხსოვნაც დაკარგავს ძალას,
მარადიულად სადაც სულ ბნელა,
თანდათან ჭია გამობრავს ქალას
და ტვინს დაუწყებს ნუნუნას ნელ-ნელა.

ვინ ვიყავით და რანი ვართ,
მნამს ბევრს ხსოვნაში ჩარჩებათ,
ივერთა შთამომავალნი
გადავეცეულვართ ჩარჩებად.

ჩემი ძახილი მტკვრიდან იწყება,
ვეძახი რიონს, არაგვს, ალაზანს,
მათსავით მეც მდევს თავდავიწყება
და ვიცი სხვა გზა არსად არა ჩანს.

მინდა ვთქვა და ვერც კი მითქვამს,
არყოფნა სჯობს უთქმელ ყოფნას,
ეჰ, რამდენი შეენირა
უბრალოდ თქმის უთქმელობას.



ეგრე ცერად ნუ მიყურებ,
ნურც მიწყურები მისს,
ვისაც შესჭიდებია ის,
ძალზედ სწორად ჭრისს,
ჟამი აღზევებისა და ჟამი დაცემის.

ყოველდღიური დღის საზრუნავით
ვერა ვგრძნობთ როგორ მიდის ცხოვრება,
საოცარია, როცა მთრგუნავი
დრო გვიყვალავს და გვეუცხოება.

ბრძენი რომ ბრძანებს:
თქმა ყველაფერს უნდა, არ უნდა,
მაინც ეს აზრი მომეძალა
მაკე და ნელი,
ცხენი ვიქნები ბუცივალნი
მეც, რა თქმა უნდა,
მეც, თუკი მხედრად მეყოლება
მაკედონელი.

ნუთუ მეყოფა ერთი ნამით
რაც ვითარეშე?
მარადისობა არ არსებობს
ნამის გარეშე.

შენ რომ არ იყო,
ვისთან გავიყო
მე ეს სამყარო, –
შენ რომ არ იყო?!

თვით ირგვლივ ბრუნვა
ყოფილა რთული
და ეს ანვალებს
სამყაროს ჩიტებს,
ამ წისკვილივით
ხმაურობს გული,
ფქვავს და ფქვავს
სისხლის ლეიკოციტებს.

ყველას ძლევს ქორონიკონი
უძალოსა და ძალიანს,

ხშირად მანვალებს სტრიქონი
ნუთისოფელზე ძალიან.

ავშლი აღმა
სულის თოკებს,
როცა გული
დამიტოკებს.

ვიცი არაფერს მოველი
ამ მთის გაღმა და გამოღმა,
ვიცი, ეს ნუთისოფელი
მეც ბევრ სხვასავით დამბოლმავს.

შენ რომ გენვია
ჩემო მზენვიავე,
ჩემი გრძნობების
ერთი ბენვია.

ზოგჯერ სურვილი
ძლიერ თარეშობს,

თუმც საძრახისი რაა ამაში?
არ დაგავიწყდეს, არ ითამაშო
ძალზე მწუხარე
ქვრივის თამაში.

გადამიშალე ნუნიავე
მაგ გულის ციკქნა კარავი,
არავის დაუნუნია
სიტურფე სიპატარავით.

ეს სინამდვილე
უცრემლოდ შევსვი,
მაკმარე ჩემო,
ამ დანყვეტილ ნერვების ხარჯვა,
ილაჯგანყვეტილ, მისუსტებულ,
დაჩრჩილულ ფესვით
აღსავლისაკენ წავიღებ ამ ჯვარს.

მფრთხალ სურვილს
წასულ დღეებს ატანენ
და იმსახურებს მათ მუდმივ ნდობას,
ვიცი ღრუბლები როგორ ხატავენ
უცისფრობას და უამინდობას.

გალოკილია დროის მარლი,
გასალოკავი დარჩა აღარა,
ახლა მჭირდება ფერუმარლი,
გავაჭაბუკო ჩემი ჭალარა.

შენ, ალექსანდრევე,
ნაპოლეონ,
ტიგლადფილასარ,
არა კაცის კვლა, არა რისხვა
სხვა რამ გდომიათ?
თვალსაწიერის ამ ხედვიდან
სხვა გზა არა ჩანს,
მარადიული მდუმარება
თავს დაგდგომიათ.

მზე უნდა მზეობდეს,
ცა უნდა ცაობდეს,
მე უნდა ვდაობდე,
შენ უნდა დაობდე...
მზე უნდა მზეობდეს!

ლაშჩირა მამულაიძე

დავითს

ფიქრი რომ მტანჯავს, გუბდება ცრემლი,
მაგრამ გზა არ აქვს, რომ დაიღვაროს,
შენთან როცა ვარ, ბავშვს ვემსგავსები,
და ტირილს ვინყებ, რომ დავიცალო.
შენი სურნელი მე გულს მიმშვიდებს,
და შენს მკლავებში დიდ ძალას ვხედავ,
გავიყურები, ვით მფრთხილი ჩიტი
და გამოფრენას ველარა ვბედავ.

ეს გული შენთვის არის ტაძარი,
სიყვარულისთვის აშენებული,
ჩემთვის შენ მხოლოდ ანგელოზი ხარ
და ამ ტაძარში ჩასახლებული.

ქართული სიტყვის მადლს ვფიცავ,
ციტ გაღვებებს ნამიერს,
ნინოს ჯვარს, წმინდა სამებას,
და ხმატკბილ მრავალფაშიერს...
ქართული სიტყვა იცოცხლებს,
მრავალ და მრავალფაშიერს!..

დედას

დედის თმების ფერის ფიფქი,
ციდან ცვივა და მაცვივა,
შენ მიგზავნი, მე ეს ვიცი,
რადგან მათბობს და არ მცივა.

არ გასვენებს ჩვენზე ფიქრი,
ფიფქებს ატან მოფერებას,
საგზლად მეც ხომ გამომთხოვე,
დედი, გულზე მოფერება.

დედი, მაგ შენს ლამაზ ხელებს
დამდნარ სანთლებს ვადარებდი,
წასვლისას რა თბილი იყავ,
შენ სულ სხვა მადლს ატარებდი.

წახვედი და ეს ქვეყანა
გასხვაფერდა, შეიცვალა,
გულმა დარდი შეიჩვია,
თვალმა ცრემლი შეიფარა.

დედის თმების ფერი ფიფქი,
ციდან ცვივა და მაცვივა,
შენ მიგზავნი, მე ეს ვიცი, –
რადგან მათბობს და არ მცივა!

თამთა მამულაიძე

შვილი დაგელალა დედი,
განა შეუძლია მეტი?
დილა, გამოთენდა მძიმე,
მოდი, ჩაგეხუტო, დედი.

მარტის სიგჟე წამოგენია და
ჩემი თვალბების ცქერით დათვერი,
თურმე ლექსებშიც მომნატრებიხარ,
და ამიტომაც ალბათ, არ ცხრები!

ყვითელ ფოთლების თოვალში
მარტო ფიქრებთან მებრძოლს,
სილა ვარდით მაჭკნობს და
ვერა და მანაც ვერ გთმობ.

ვერ ამინთლებს ღანვებს,
ვერც ერთი თბილი სიტყვა,
თუ არ ვიგრძენი კარგო,
ყვითელ ფოთლების წვიმა.

და ამ ფოთლების წვიმაში
მალე ზამთარიც მოვა,
შენს მოლოდინში ალბათ
მოემატება თოვა.

უფალმა მითხრა – შენთან ვარ,
რატომ არ მეძებ შენში,
დრო მიდის, არ დაბრუნდება
ეს მოლოდინიც შემშლის.

წუხელის, ლამაზ სიზმარში,
შემოხველ ჩემში ისევე,
სადა ხარ ახლა ნეტავი,
გზა გამინათო მზისებრ.



ტარიელ ფუტყარაძე

საქართველოს საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს არც ლინგვისტური, არც ეთნიკური და არც კონფესიური თვალსაზრისით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე მოასწრეს მონოეთნიკურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ამიტომ ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო იდენტობა. მოსტაბაჭოთა სივრცეში, სადაც პოლიეთნიკური საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ, ძირითადად, ეთნიკური ნაციონალიზმი ბატონობს. ტერიტორიით, მოსახლეობით, ეკონომიკური და, რაც მთავარია, სახელმწიფო თვალსაზრისით, უზარმაზარი ავრესიული სახელმწიფოს მეზობლობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტისთვის. ქართველი ხალხის შემფოთებას იწვევს დემოგრაფიული დაქვეითების, წელი ისლამიზაციის, შემპარავი გავეროპელების, ეროვნული კულტურის დაკარგვის საფრთხეებიც. ზოგი ევროპელი მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი შიშები ეთნონაციონალიზმისგან იღებს სათავეს და „საკუთარ თავში ჩაკეტვას უწყობს ხელს.“ ფრანგი მკვლევარის – სოფი ტურნონის აზრით, „ეთნონაციონალიზმი საქართველოში გავრცელებული მოძრაობაა, როგორც პოლიტიკაში, ასევე მეცნიერებაში. იდენტობის ამგვარი ესენციალისტური გაგება იწვევს ისტორიის სწორზაზვან ხედვას, რომელიც ეთნიკური სინამდის იდეიდან გამომდინარეობს... საქართველო, რომელიც შიშს მოუცავს და ფობიების საშუალებით მტრებისგან იცავს თავს, საკუთარ თავში იკეტება.“¹ –წერს ის. ავტორს უჭირს ზემოთ დასახელებული საფრთხეების რეალურობის გაცნობიერება და მათ ქართველთა წარმოსახვების ნაყოფად მიიჩნევს. არადა, საფრთხეები რეალურია. ეთნიკური ნაციონალიზმი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ბატონობს და ამ ფაქტს თავისი ეთნო-პოლიტიკური და ისტორიული საფუძველი გააჩნია. დასავლეთ ევროპის მონოეთნიკური საზოგადოებების წინაშე არ დგას და არც შეიძლება იდგეს ის პრობლემები, რომლებიც მრავალეთნიკური საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეებს წარმოადგენენ. ეთნიკური ნაციონალიზმი ჩვენი ქვეყნისთვის ამ რეალური საფრთხეებისგან თავდაცვას მის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს. გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მილიონ 170 000 კაცით, ანუ 28 პროცენტით შემცირდება. ამავე მონაცემებით, ეს მოხდება სწორედ ქართული ეთნოსის ხარჯზე, რაც ქართველთა რაოდენობის განახევრებას ნიშნავს. ეს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით, აზერბაიჯანის მოსახლეობა კი 34 პროცენტით გაიზარდება. 1910 წლისთვის კავკასიის ყოველი მესამე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე იყო, 2010 წლის მონაცემებით კი კავკასიის მცხოვრებთა მხოლოდ ყოველი

მე-19 მოქალაქე არის საქართველოდან.² ეს ნიშნავს, რომ ქართველები რეალურად ვდგავართ ყოფნა-არყოფნის წინაშე. ამიტომაც, არ შეიძლება საქართველოს რეალობაში დასავლეთ ევროპის პრაქტიკის მექანიკური გადმოტანა, რასაც ქალბატონი იტურნონი გვთავაზობს. ფრანგი ხალხი რომ მსგავსი საფრთხის წინაშე იდგეს, მაშინ მისი ეთნიკური იდენტობაც ამ საფრთხის აღქმადი იქნებოდა.

უნდა ვებრძოდეთ თუ არა ქართველები ეთნიკურ ნაციონალიზმს?

ქართული რეალობის გათვალისწინებით, გარკვეული საფრთხის შემცველია სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის უკონტროლო ჩამოსახლებაც. ქართული სახელმწიფო ვალდებულია ქვეყნისთვის სახელწოდების მიმცემი ერის ინტერესების შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა განახორციელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დემორტირებული რეპატრიაციამ მართლაც შეიძლება შეასრულოს ტროას ცხენის როლი და საქართველოს, როგორც ქართველთა სამშობლოს არსებობას, შეუქმნას საფრთხე. სამოქალაქო იდენტოფიკაციის დაბალი დონის გამო, საქართველოში ადამიანებს ურჩევნიათ თავი აღიქვან ეთნიკური ჯგუფისა და ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებად და არა ერთიანი ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრებად. სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას ჩვენში, ისტორიული სამშობლოს საზღვრების სიახლოვეს, ეთნოუმცირეობების კომპაქტური დასახლებების არსებობაც აფერხებს. სერიოზული შემთხვევები ფაქტორია, აგრეთვე, ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში სრულიად გულწრფელად მოგვექონდა თავი ჩვენს ქვეყანაში არაქართულენოვანი სკოლების სიუხვით და ეს ფაქტი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვად მიგვაჩნდა. სინამდვილეში კი, არაქართულენოვანი სკოლების მეშვეობით სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ემიგრანტებად ამზადებს, უსპობს მათ ქვეყნის შიგნით სამსახურეობრივი წარმატების შესწრაფვას, რომელიც, როდესაც საქმის წარმოება მთელ ქვეყანაში სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს, სახელმწიფო ენაზე მასწავლებლობს ტელევიზია და რადიო, გამოიცემა ჟურნალ-გაზეთების ისლავტური უმრავლესობა, ქართული ენის უცოდინრობა ან სუსტი ცოდნა ადამიანს საშუალებას არ აძლევს მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალი ემიგრაციაა. ალტერნატივა ისეთი მიკროსივრცის შექმნაა, სადაც ქართული ენის გარეშე იოლად გახვალ. სწორედ ასე იქცევა ჯავახეთის სომხური დიასპორა, რომელიც დროგამოშვებით სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას ითხოვს. სხვათაშორის, ეთნიკური სომხების გაცილებით დიდი კომპაქტური დასახლებებია რუსეთში (დონის-როსტოვი, მოსკოვი, არმავირი და ა.შ.), შეერთებულ შტატებში (ლოს-ანჯელესი), არგენტინაში, საფრანგეთში და

სხვ. თუმცა, არც ერთ ამ ქვეყანაში, სომხებს მშობლიურ ენაზე სკოლები არ გააჩნიათ. და ეს არა იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგება ასეთი სკოლების გახსნას – სომხებს თავისუფლად შეუძლიათ გახსნან სომხურენოვანი კერძო სკოლები თავიანთი კომპაქტური დასახლების ადგილებში, მაგრამ მათ ეს არ სურთ, რადგან მშვენივრად ესმით – სახელმწიფო ენის თავისუფლად ფლობის გარეშე ამ ქვეყნებში მათ სამსახურეობრივი წარმატების არავითარი შანსი არ ექნებათ. საქართველო ამ მხრივ იშვიათ გამოხატულების წარმომადგენელია, რისი მიზეზიც ჯერ მეფის რუსეთის ერთიანი იმპერიაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა იყო. ამ ვრცელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოებას სრული წარმომადგენლობა, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ქართული ენის ცოდნის გარეშეც გადიოდნენ ფონს. რუსულის კარგი ცოდნა კი სომხებს უპირატესობასაც აძლევდა ქართველებთან შედარებით, რადგან წარმოება-დაწესებულებებში რუსულის მცოდნეებს პირველ რიგში ლებულობდნენ. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. ახლა უკვე საქმის წარმოება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართულად მიმდინარეობს, რაც არაქართულენოვან მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის წინაშე აყენებს. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეს ესმით, მაგრამ ძველი პრაქტიკა ინერციით არსებობს დღემდე განაგრძობს.

ვითარება უკეთესობისკენ წელა, მაგრამ მაინც იცვლება. ეს ნათლად ჩანს ახალციხის რაიონის მაგალტზე: საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ქალაქ ახალციხეში იყო ორი ქართული სკოლა, თითოეული საშუალოდ, ათას-ათასი მოსწავლით, ორი რუსული სკოლა – თითოეული ექვსას-ექვსასი მოსწავლით და ერთი სომხური სკოლა – რვაასი მოსწავლით.³ რუსულ სკოლებში, ცხადია, საბჭოთა ჯარში მომსახურე რუსი ოფიცრების შვილებიც სწავლობდნენ, თუმცა, ამ სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ძირითად ბირთვს მაინც ახალციხელი ეთნიკური სომხების შვილები შეადგენდნენ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგომ რუსული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტმა სწრაფად იწყო შემცირება – ქალაქი (და ქვეყანაც) დატოვეს რუსმა ოფიცრებმა და მათმა შვილებმა, სომხები ეროვნების ბავშვები კი ქართულ და სომხურ სკოლებში გადამსწავლდნენ. 2000 წლისთვის ახალციხის №3 სომხური საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობა ათასს აღწევდა. საგრძობლად გაიზარდა ქართული სკოლების მოსწავლეთა რაოდენობაც. ამის შემდეგ კი დაიწყო ქალაქის სომხური სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირება. დღეისათვის ის 600-ზე ოდნავ მეტია – 623. გაიზარდა არა მხოლოდ ქართული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის, არამედ თვით სკოლების რაოდენობაც: ამჟამად ქალაქში სამი ქართული – №1, №V, №VI სკოლაა, შესაბამისად, 967, 1265 და 234 მოსწავლით. რაც შეეხება ორ რუსულ სკოლას, მათგან

განსხვავებული მიზეზით, მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება ფიქსირდება საზღვრებისპირა რამდენიმე სომხურ სოფელშიც. სოფელ წყალბაშის სომხურ სკოლაში, რომელიც მოსწავლეთა რაოდენობა ახლო წარსულში 300 ერთეულს აღწევდა, დღეისათვის მხოლოდ 97 მოსწავლეა. მეზობელ სოფელ ნაოხრების სომხურ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 140-დან 40-დამდე დასული. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ წინუზნის სომხურ სკოლაშიც, სადაც 100-ზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა, დღეისათვის კი მხოლოდ 42 მოსწავლეა.⁴ დასახელებულ სოფლებში მოსწავლეთა კონტიგენტის მკვეთრი შემცირების უმთავრესი მიზეზი მოსახლეობის მიგრაციაა. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მთიანი სოფლებიდან ადამიანები ქალაქში გადმოდიან საცხოვრებლად, მათი უფრო დიდი ნაწილი კი, საერთოდ, ტოვებს ქვეყანას. იგივე პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ჯავახეთის ორივე – ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებშიც. აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში გადიოდა ქვეყნიდან სეზონურ სამუშაოებზე, დღეს კი ბევრი მათგანი ლებულობს უცხო ქვეყნის (როგორც წესი – რუსეთის) მოქალაქეობას და მუდმივ საცხოვრებლად იქ რჩება. მათ ნაწილს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება სურდა კიდევ, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა ავტომატურად ჩამოერთვათ. დაუზუსტებელი მონაცემებით ასეთთა რაოდენობა ჯავახეთში 4-5 ათასს კაცს აღწევს. გასაგებია, რომ ამ სერიოზული პრობლემის რადიკალური გადაწყვეტა რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში, ეკონომიკის განვითარებით, მასობრივი უმუშევრობის მკვეთრი შემცირების გზით არის შესაძლებელი, მაგრამ სახელმწიფოს დღესვე შეუძლია ამის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმებით, მაგალითად, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებით პოზიტიური გავლენა მოახდინოს პროცესზე, მეტ-ნაკლებად მოხსნას მისი სიმწვავე. ეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე პოლიტიკური პრობლემაა და მის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სტაბილურობა პოლიტიკური თვალსაზრისით ამ მეტად მგრძობიარე რეგიონში.

1. „დეპორტირებული მესხები –წარსული და დღევანდლობა (კონფერენციის მასალები)“, თბ. 2013, გვ. 144, 146;
 2. იხ. ვახ. „კვირის პალიტრა“, 14-20 ოქტომბერი, 2013 წ. გვ. 10, 15;
 3. ქალაქში ფუნქციონირებდა ერთი ქართული სკოლა-ინტერნატიც, მაგრამ მასში მოსწავლეთა კონტიგენტი მთელი რეგიონიდან იყო წარმოდგენილი.
 4. ახალციხის ე. წ. საბარგო სადგურის დასახლებაში ფუნქციონირებს კიდევ ერთი დაწყებითი სკოლა სომხურ-ქართული სექტორებით, რომელშიც დღეის მდგომარეობით სომხურ სექტორზე 31, ხოლო ქართულზე 9 მოსწავლე ირიცხება.
 5. მონაცემები ახალციხის რაიონის სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ მოგვანოდა ახალციხის რაიონის გამგეობამ.

ენ. მუსლიმანურ საღმრთო ომში ჩაებათ; იგი განმარტავდა, რომ მეოცე საუკუნეში არავის ცალია და არც არავის ეპიტ-ნავება სარწმუნოებისადმი დევნა, რომ არაფერ შუაში იყო საღმრთო ომი. იგი იმუთითებდა: „აშკარაა, რომ ოსმალელებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავად და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის. მათი მიზანი იყო: საღმრთო ომის გამოცხადებით ესარგებლათ და ოთხას მილიონამდე მუსლიმანი, რომლებსაც თავ-თავისი სამშობლო და დედაენა აქვთ, თავისი ინტერესებისთვის მსხვერპლად შეენიროთ“. ჰ.აბაშიძისა და მისმა თანამოაზრეთა ამგვარმა ახსნა-განმარტებითმა მუშოვამ თავისი შედეგი გამოიღო, – აჭარლობა არ წამოვიდა თურქთა პროვოკაციის ანკესზე. გამოინაც, როდესაც აჭარაში შემოჭრილი თურქების განდევნის შემდეგ, მეფის მთავრო-

ბამ აჭარლები მოლაღატებად გამოაცხადა და ამ მხარეში რეპრესიების გატარება დააპირა, ქვეყნისათვის საფრთხე რომ აეცილებინა, ჰაიდარ აბაშიძე მთელი შესაძლებლობით იბრძოდა, ამასთან მან, როგორც ქართული საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დიდი მუშაობა გასწია იმპერიალისტური ომის შედეგად დაზარალებულ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოღვაწეობის გამო ჰ.აბაშიძეს არამართო ხოჯა-მოლები და ალა-ბეგები აუშხედრდნენ, მის წინააღმდეგ განეწყო მეფის ხელისუფლების მოხელეებიც. იგი ჯერ მასწავლებლობიდან დაითხოვეს, შემდეგ, 1916 წლის ბოლოს, „ემამბოხებთან“ კავშირისათვის, ბათუმიდანაც გაასახლეს. 1918 წელს თურქების მიერ ბათუმის და სამხრეთ საქართველოს რიგი რაიონების და-

კავებისას, ჰ.აბაშიძე მტკიცედ აცხადებდა: „ჩვენ ვართ გურჯები – ქართველები, ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალეთისა და ზოგიერთი მოლაღატის ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს. მთლიან საქართველოსა!“ საქართველოს მთლიანობის იდეა რომ განეხილავდნენ, ჰ.აბაშიძის აქტიური თანამონაწილობით თურქი ოკუპანტებისაგან დეენილმა პროგრესული მოაზროვნე აჭარლებმა ქ.თბილისში დააარსეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა ჰ.აბაშიძე (თავმჯდომარედ დაუსწრებლად კი – მ.აბაშიძე, რომელიც ამ დროს ტრაპიზონის

გადასახლებაში იმყოფებოდა). ჰ.აბაშიძე მ.აბაშიძის მხარდამხარ იბრძოდა აჭარის პროგრესული ძალების დასარაზმავად როგორც თურქი და ინგლისელი ოკუპანტების, ისე თეთრგვარდიელთა ბანდების, მუსავატების, დაშნაკებისა და „სედაიმელეთილთა“ ხრიკების წინააღმდეგ – სამხრეთ საქართველოს დედა სამშობლოსაგან მოწყვეტას და აქ თავიანთი ბატონობის დამყარებას რომ ლამობდნენ. ამასთან, ჰ.აბაშიძე არ იფიცებდა სოციალისტურ საკითხებსაც. იგი ილაშქრებდა ხოჯა-მოლებისა და ალა-ბეგების უსამართლობის წინააღმდეგ და მოითხოვდა გლეხებისადმი მინების გადაცემას. ჰ.აბაშიძის ზრუნვის საგანს არა მარტო აჭარა, მთელი სამხრეთ საქართველო წარმოადგენდა, ამიტომაც თავის დროზე მას წამართლიანად უწოდეს „ქართველი მუსლიმანე“.

სამეცნიერო ექსპედიციის ფოსტოს სივრცეში, კოლხ-არტაზში, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში (2005 წლის 19-26 აპრილი)

ბუბა კუდავა, გორა საითიძე, თამო ჯოჯუა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12, 2013 წ.)

დასახლებული გურგენი არის ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი გურგენ IV, დიდი ერისთავთა ვი, რომელიც ამ ტიტულს 918-941 წლებში ფლობდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომში გურგენ ერისთავთა ვი-სა და კავშირებულ ერთ-ერთ პასაჟში ყველისციხეც ფიგურირებს, კერძოდ, როდესაც საუბარია გურგენის მიერ მისი სიმამრისთვის – აშოტ კისკასისთვის არტანუჯის წართქვეთის შესახებ, ისტორიკოსი წერს, რომ „ამის საბადლოდ მისცა მას (აშოტს – ავტ.) ტიროკასტრონი და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან“. კონსტანტინე VII-ის თხზულების გამომცემელი აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „ტიროკასტრონი წარმოადგენს ქართული „ყველისციხის“ ბერძნულ თარგმანს: „ტიროს“ – ყველი, „კასტრონი – ციხე“.

XI საუკუნის პირველ ნახევარში ყველისციხე კლდეკარის ერისთავების მფლობელობაში მოექცა, კერძოდ, ლიპარიტ IV ბაღვაშისა. მისი დატყვევების შემდეგ, „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის ცნობით, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ემ (1027-1072 წწ.) ლიპარიტს ჩამოართვა რამდენიმე ციხე, მათ შორის, ყველისციხეც: „მოვიდა მეფესა წინაშე სულა ჯავახეთს, და მოჰგურა ლიპარიტ და ივანე უყრობისნი, და მოახსენა; ხელთა აღიხუნა ლიპარიტეთან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი“.

აქედან მოყოლებული, ყველისციხე ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს მფლობელობაში მოექცა, რის შესახებაც ინფორმაციას იგივე „მატიანე ქართლისა“ გვანდის – XI საუკუნის 60-იანი წლების მოვლენების აღწერისას ერთგან აღნიშნულია, რომ განძის ამირა ფადლონთან დაპირისპირების დროს ბაგრატ IV-ემ მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა „ივანე ძე ლიპარიტისი, და ნიანია ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუელისა, და მათ თანა სხუანთი აზნაურნი მცირედნი რჩეულითა ლაშქრითა“.

მურვან ჯაყელის გარდა, წყაროებიდან, სავარაუდოდ, ყველის კიდეც ერთი ერისთავის სახელს ვგებულობთ. მკვლევარი მიხეილ ბახტაძე ნაშრომში „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“ მიუთითებს: „საინტერესოა ყველის ციხიდან წამოღებულ ქვის სვეტზე არსებული წარწერა – „საყდარი იოვანე ერისთავისა...“ იოვანე, ალბათ, ყველის ერისთავია. ნ. შოშიაშვილი წარწერას ათარიღებს IX საუკუნით. ექ. თაყაიშვილის აზრით, წარწერა არის არაუგვიანეს XI საუკუნისა და იოვანე არის გიორგი II-ის თანამედროვე. ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის აზრით, წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნეს არ სცილდება“.

1065 წელს საქართველოს პირველად შემოესია თურქ-სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი. საისტორიო გეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ შავშეთში, ხოლო იქიდან კლარჯეთსა და ტაოში მტრის ლაშქარი სწორედ ყველისციხის, ანუ „ყუელის ქვეყნის“ გავლით გადავიდა: „ამის (ბაგრატ IV – ავტ.) მეფობისა უამთა შინა გამოვიდა სულტანი არფასარან, მეფე სპარსეთისა, დასხმის გუარად. უგრძნულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი, და დღესა ერთსა მარბილმან მისმან მოუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე“.

წყაროს ამ მონაცემით კიდეც ერთხელ დასტურდება, რომ ყველისციხე, სამცხე (ფოცხოვის ხეობა)-შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობდა. ჩვენს არანაკლებ ყურადღებას იპყრობს ტოპონიმი, რომლითაც აღნიშნულია ყველისციხის მიმდებარე ტერიტორია – „ყუელის ყური“. მკვლევართა განკარგულებაში ამჟამად არსებული მასა-

ლები ტერმინის ზუსტი და მკაფიო განმარტების საშუალებას არ იძლევა და მას დამატებით კვლევა-ძიება ესაჭიროება.

შემდეგი ფაქტი, სადაც ყველისციხე მოიხსენიება, კვლავ თურქ-სელჩუკებს და მათ ლაშქრობებს უკავშირდება – XI საუკუნის 70-იან წლებში სწორედ ყველისციხესთან დაამარცხა ამირა აჰმადმა საქართველოს მეფე გიორგი II (1072-1089 წწ.). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოვლენას ამგვარად გადმოგვცემს: „რამეთუ მათ უამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარემდგომსა, დაესხნეს უგრძნულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ უამთა აელო კარი. მოვიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და

ძოდ, სოფლის ერთ-ერთ მოსახლეს, გვარად ლომსასვილს ალის მონასტრის სამსახურად ათი ლიტრი ზეთის მოტანა ევალებოდა. მოვიტანო საბუთის ტექსტს სრულად: „ქ. ათი ლიტრა ზეთი ყველს ლომსასვილისა მამულმან უნდა მოიტანოს ალის საბაზმეთ. არ დააკლებდეს“.

XVI საუკუნის 70-იან წლებში, სამცხე-საათაბაგოში ჯაყელსა და დიდ ფეოდალურ საგვარეულოს – შალიკაშვილებს შორის მიმდინარე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის პერიოდში სამთავროს უმთავრესი ციხეები და ქალაქები, მათ შორის, ყველისციხეც ხელიდან ხელში გადადიოდა.

ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, ყველისციხე ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის – ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში მოექცა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი

მნიფობრივი წინააღმდეგობების გამო, ქართველ მკვლევრებს საზღვრებს მიღმა დარჩენილი ისტორიული სიძველეების შესწავლის შესაძლებლობა კარგა ხნით მოესპოთ. რასაკვირველია, ზემოთქმული ყველისციხესაც შეეხო; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც 1829-1921 წლებში (თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, როდესაც ფოცხოვის ხეობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა) შეუწუხებია ვინმეს თავი ამ რეგიონის ისტორიის, მისი ზურთმოდგრული ძეგლების, კვლევა-ძიებით.

ერთადერთი მკვლევარი (ალექსანდრე ფრონელის გარდა), რომელმაც 1829-1921 წლებში ფოცხოვის ხეობაში კვლევითი სამუშაოები ჩატარა და მის შესახებ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა, ცნობილი რუსი მეცნიერი, არქეოლოგი, გრაფინია პრასკოვია უვაროვა (1840-1924 წწ.) იყო – მან 1888 წელს იმოგზაურა ფოცხოვის ხეობაში, რის შესახებაც თავის მკითხველს ამცნობდა გაზეთი „ივერია“. მოგზაურობის შედეგები პ. უვაროვამ ჯერ 1891, ხოლო შემდეგ 1894 წელს გამოაქვეყნა. ეს იყო და ეს, აი, თითქმის სრულად ის ინფორმაცია, რომელიც „ყველის ქვეყნის“, ყველისციხის შესახებ ექსპედიციის წინ გაგვანდა, დამატებითი ცნობების მოპოვებას ადგილზე წარმოებულ კვლევა-ძიების შედეგად ვიმედოვნებდით.

საზღვრიდან 22 კილომეტრში, ხოლო ფოსტოს გადასახვევიდან 8 კილომეტრში, ტრასიდან მარჯვნივ, არის გადასახვევი რამდენიმე სოფლისკენ, კერძოდ, *სოფელ-ლუქაისკენ* (ძველი სახელი – *ხუნამისი*), *ბოშდერესკენ* (*ხეოთი*), *აქბალისკენ* (*ბოლა*), *აშიქულაისკენ* (*წუნყაბი*), *ბაქენისკენ* (*ვახლა*), *ქოლისკენ* (*ყველი*), *ალბალიქისკენ* (*საიხე*) და ა. შ. სწორედ ამ გადასახვევის შემდეგ იწყება „ყველის ქვეყანა“, რომელიც მდინარე ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადის – წუნყაბისწყლის ხეობაში მდებარეობს. ყველი და საიხე ამ მიმართულებით ფოცხოვის ხეობის ბოლო სოფლებია, რის შემდეგაც არსიანის ქედი იწყება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ერთმანეთისგან გამოჰყოფს ფოცხოვის ხეობას (ანუ სამცხეს), ერუშეთს, შავშეთსა და აჭარას.

საინტერესოა, რომ თანამედროვე ცენტრალური ტრასა იდენტურია იმ გზისა, რომლითაც მოძრაობდნენ მეზარეულები XX საუკუნის დასაწყისში: ახალციხე – ვალე – ფოსტოს გადასახვევი – ხენიორას ქედი – არტანანი.

სანამ სამეცნიერო ექსპედიციის შედეგების გაცნობას განვაგრძობდეთ, გავეცნოთ პ. უვაროვას ნაშრომში „ყველის ქვეყნის“ შესახებ დაცული ცნობების ქართულ თარგმანს: „დიდირიდან შავშეთისაკენ მიმავლებმა იმგვარად დავეგმეთ ჩვენი მოგზაურობა, რომ გზად ფოცხოვის უბნის სამხრეთი ნაწილისთვისაც შეგვევლოთ თვალი, განსაკუთრებით გვინდოდა წუნყაბის ცნობილ ტაართან დაკავშირებით ვახუშტის, ბროსის და ბაქრაძის ცნობების შემოწმება... მერეს ციხეს აარტოუ გამოჩნებულებმა შევაჩინეთ მდინარის იმავე ნაპირზე მდებარე მალალ ბორცვზე მდგარი ხუნამისის ციხე და ეკლესია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ მდინარეს წუნყაბ-სუს უწოდებს და არა ფოცხოვისწყალს, როგორც არის დატანილი რუსულ ზუთვერსიან რუკაზე... შემდგომ დავათვალიერეთ ვინრო ხეობაში სოფელი ხეოთი და ხეოთის ეკლესიის ნანგრევები. გაცილებით ქვემოთ, მდინარის მახლობლად სოფელ ვარხანეს ციხის და ეკლესიის ნანგრევებია. ყველისციხეში იჯდა არქიმანდრიტი და განაგებდა ჩვენს მიერ ნანახ ყველა ციხეს. უფრო ღრმად ხეობაში მდებარეობს აგარის ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. სოფელ წუნყაბში დიდი ყურადღებით ვათვალიერებთ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე და მისივე ნაშთებისაგან აშენებულ ჯამეს“.

(გაგრძელება იქნება)



ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებენ, რომ დამარცხებული გიორგი II ყველიდან დასაყდრულად საქართველოში აჭარის გზით გაიქცა, ანუ სამცხე-აჭარის დამაკავშირებელი (არსიანის ქედის გავლით) გზა მაშინაც არსებობდა და ფუნქციონირებდა, რაც ასევე საინტერესო ფაქტს წარმოადგენს „ყველის ქვეყნის“ ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით.

XI საუკუნის შემდეგ ყველის საერისთავო წყაროებში აღარ მოიხსენიება. მ. ბახტაძის თქმით, „რა ბედი ენია საერისთავოს, გააუქმა ის სამეფო კარმა თუ გადაიქცა მამულად, უცნობია. სამწუხაროდ, წყაროები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ უფრო დანვრისებით განვიხილოთ ეს საერისთავო. სამაგიეროდ, თვითონ ყველისციხე კვლავინდებურად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამცხის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა სანამ ამას შევეხებოდეთ, კიდევ ერთ საკითხზე შევაჩერებთ ყურადღებას, კერძოდ, „ყუელის ყურის“ გარდა ნარატულ თუ სხვა სახის საისტორიო წყაროებში გვხვდება ტერმინები „ყუელის მთა“, „ყუელის თავი“ და სხვ. უამთაღმწერლის თხზულებაში XIII საუკუნის 60-იანი წლების მოვლენების აღწერისას ერთგან აღნიშნულია, რომ თეგუდარ ყანმა „თვით ლაშქრითა და მეომრითა გარდმოიარა არსიანი, აქათ სირმონ ჩამოვიდა მთა ყუელისა, და მოვიდეს ორნივე თავსა ყუელისასა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველისციხე XI საუკუნის შემდეგაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რეგიონის ცხოვრებაში, გარდა ამისა, XIII საუკუნიდან საისტორიო წყაროებში გვხვდება სოფელი ყველიც. ცნობილი მკვლევრის – ქრისტინე შარაშიძის მიერ გამოცემულ ალის მონასტრის საბუთებსა და აღაპებში, რომლებიც ქრონოლოგიურად XIII-XV საუკუნეებს განეკუთვნება, ერთგან ყველიც იხსენიება, კერ-

დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნის ბოლოს არსებობდა როგორც სოფელი ყველი, ისე მის მახლობლად მდებარე სოფელი ყველის მონასტერი. ყველში ცხოვრობდა 32 კომლი – სულთანასძეები, გიორგისძეები, ბაინდურისძეები, ენუქასძეები, ოსებისძეები, ნიკოლასძეები, ვარძელასძეები, ვარდიძისძეები, ხოჯაბეგისძეები და მახანისძეები; ხოლო ყველის მონასტერში 4 კომლი – ზაქარასძეები, ლიბრასძეები, მახარებლისძეები და ელიასძეები.

აკად. სერგი ჯიქია შენიშნავდა, რომ „1834 წლის ერთი საარქივო ცნობის მიხედვით, სოფელ ყველის მოსახლეობა უკვე დაკლებულია და 20 კომლითა წარმოდგენილი“.

რაც შეეხება ყველისციხეს, ოსმალთა ბატონობის პერიოდში მის შესახებ მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის ლაკონური ცნობა მოგვეპოვება: „წუნყაბის ზეთი, ჯაყის წყალზედ (აქ მეცნიერი შეცდომას უშვებს – მდინარე ჯაყისწყალი მოედინება ფოცხოვის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ყველი მდებარეობს ფოცხოვის ხეობის დასავლეთ ნაწილში – ავტ.), არს ყუელს ციხე, მრავალჯერ შემუსვრილი და ან ოხერი“. მაშასადამე, მესხეთში უცხოელი დამპყრობლების გაბატონების შემდეგ, ყველისციხემ ტრადიციული სამხედრო-სტრატეგიული ფუნქცია დაკარგა და გახდა „ოხერი“.

ყველისციხეს პირვანდელი ფუნქცია არც ფოცხოვის ხეობის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ დაბრუნებია. XX საუკუნის დასაწყისში ალ. ფრონელი წერდა: „ისტორიაში განთქმული ყველის ციხე სულ გავერანებულია და ოხრად გადა“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და მესხეთის უდიდესი ნაწილის თურქეთისათვის გადაცემის შემდეგ, სსრკ-თურქეთს შორის არსებული სახელ-



შეგობნის შაძიობილი შეთიუზბე

ერთ-ერთი სამეფოს დიდებულ მეფეს თავისი ამალით, მთელი დღის ნადირობის შემდეგ, ზღვის ნაპირზე მოუსურვებია გასეირნება და საინტერესო სურათს წასწრებია: მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი ზღვის ნაპირზე თევზაობდა – ისროდა წყალში ბადეს და მოყოლილ თევზებს სათითაოდ ხელში გადაატრიალგადმოატრიალებდა, თანაც, თავისთვის ლაპარაკობდა: „ეს არის? – ეს არ არის?“

ამის შემდეგ წყალშივე ყრიდა თითოეულს. გაოცებულები შეჰყურებდნენ მებაღურს მეფეც და მისი მხლებლებიც, თუმცა, ვერაფერი ხვდებოდნენ.

ბოლოს, მეფის ბრძანებით, იხმეს უცნაური მეთევზე და მოითხოვეს საქციელის ახსნა.

– მეფეზე ბატონო, ძნელი არ არის ჩემი საქციელის ახსნა, ძნელი მისი შესრულება: მეგობარს ვეძებ, მთელი ხმელეთი მოვიარე, მაგრამ კაცი ვერ ვნახე სამეგობრო. ახლა ზღვას მივმართე, ეგებ, აქ მოვნახო ვინმე, მეგობრობას რომ გამიწვევდეს.

გაოცდა მეფე, შეცბა მთელი ამალა. ასეთი რამ დაუჯერებლად ეჩვენა ყველას.

– მე შევძლებ შენთან მეგობრობას, – უთხრა მეფემ, – რა უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ შეგისრულო.

და, დაიყოლიეს უცნაური მეთევზე მეფესთან დამეგობრებაზე.

გადიოდა დღეები, თვეები... მეფე თავის სასახლეში უზრუნველად აცხოვრებდა მეგობრობაშეფიცულ მეთევზეს, უსრულებდა ყველა სურვილს, ღვინო და დროისტარებაში გვერდიდან არ იცილებდა მას.

მთელ სამეფოს მოედო მეფისა და მეთევზის მეგობრობის ამბავი. ძალიან მოსწონდათ და პატივს სცემდნენ მეთევზეს. განსაკუთრებით პატივისცემით განიმსჭვალა მის მიმართ დედოფალი.

და ბოლოს, მოსახდენი მოხდა. დედოფალს ძალიან მოუყვარდა მეფის მეგობარი მეთევზე და მოსურვა მასთან რომანის გაბმა. მაგრამ მეთევზემ კატეგორიულად შორს დაიჭირა დედოფლისაგან თავი.

დედოფალმა იფიქრა, აქ, სასახლეში ვართ და ესაა ალბათ მიზეზი, თორემ, სასახლიდან შორს რომ ვიყოთ, უარს როგორ მეტყობოდა და ერთ დღეს მეფეს სთხოვა, სატახტო ქალაქიდან მოცილებით, საზაფხულო რეზიდენციაში დასასვენებლად წასვლა და მოახლეთა თავაკაცად მეფის მეგობრის გაყოლიება მოითხოვა: – სხვას ვის ვენდობი, თუ არა შენს მეგობარსო. იმჟამად გადაუდებელი სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული მეფე და დედოფალს დაეთანხმა მარტო წასულიყო, თან მისთვის გაეყოლებინა თავისი მეგობარი მეთევზე. მეფემ თავისთან დაიბარა მეთევზე და სთხოვა გაჰყოლოდა დედოფალს. მეთევზემ მეფეს უთხრა: – ბრძანებას სიამოვნებით შევასრულებ, ოღონდ პირადი საქმეების მოსაწესრიგებლად დრო მომეციო. მეფეც დასთანხმდა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მეგობარი გამოცხადდა მეფესთან და უთხრა: მზად ვარ გავყვე დედოფალს, ოღონდ, ამ პატარა ფუთას დაგიტოვებ, ჩემს ჩამოსვლამდე ნუ გახსნიო. და გადასცა პატარა ფუთა.

მეფის მეგობარი განსაკუთრებული სიფრთხილითა და მორიდებით ემსახურებოდა დედოფალს, ცდილობდა, არ გაეცლო მის სიახლოვეს.

გადიოდა დღეები. ერთხელაც, დედოფალმა თავისთან იხმო მეთევზე, სხვა მხლებლები კი დაითხოვა და განმარტოვდნენ.

– ხომ იცი, რისთვის მოვანყე ეს შეხვედრაო, – უთხრა დედოფალმა. მიუხედავად მეთევზე დედოფლის განზრახვას და ხელის კვრით მოიცილა დედოფალი. დედოფალს მეთევზის საქციელი ძალიან არ მოეწონა და განრისხებულმა უთხრა: ახლა რაც მოგივა, შენს თავს დააბრალო და მაშინვე მოსროლა დედოფლის გვირგვინი, შემოიხია ტანსაცმელი, გაიშობო ტანი, დაიკბინა მკერდი და მორთო წივილ-კივილი...

„მოძალადე ავისმქნელ“ მეფის მეგობარს მაშინვე მისცვიდნენ გუშაგები და ხელები გაუთოვებ.

მეფის განცვიფრებასა და მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. დაუჯერა დედოფალს ნამბობი და ბრძანება გასცა ყველას დასანახად ჩამოეკიდათ ძელზე და ჩამოეხრჩოთ მეთევზე.

მეფეს წესად ჰქონია, სიკვდილმისჯილისგან, ჩამოხრჩობის წინ, უკანასკნელი სიტყვა მოესმინა:

– მეფე ბატონო, – მიმართა სიკვდილმისჯილმა, – გასოვს, ჩემი სათხოვარი, პატარა ფუთა დაგიტოვებ და გთხოვ, ჩემს გარეშე არ გაეგხნათ იგი, ახლა კი გთხოვთ, ყველას თანდასწრებით გახსნათო.

ამ ფაქტით კი უფრო დიდი საოცრების მოწმენი გახდნენ მეფე და მთელი ამალა... ფუთაში მამაკაცის „ასო“ აღმოჩნდა. მერე იქ მყოფთა წინაშე სიკვდილმისჯილმა ტანსაცმელი გაიხადა და დედიშობილა წარსდგა მათ წინაშე. წარმოსადეგი გარეგნობის მეთევზე სახრჩობელაზე „ასოს“ გარეშე გაქვავებული იდგა.

დიდხანს გაოგნებული შეჰყურებდა მეფე და სიტყვის თქმას ველარ ბედავდა. დამუნჯდა, თვალეი თითქოს დაუპატარავდა და გაოცებული აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მდგომარეობიდან გამოვიდა, სახრჩობელასთან მივიდა, მეგობარი გულში ჩაიკრა და პატიება სთხოვა შეუდარებელი თავგანწირვისთვის. მეფე ბრძანება გასცა მკაცრად დაესაჯათ მოლაღატე ცოლი.

მთქმელი ზაპალ გომოლაძე, ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, 37 წლის. ჩაიწერა მახსანბ მელიქიძემ 1957 წელს

იყო ერთი უშვილო მეფე. გამოუცხადა თავის ნაზირ-ვეზირებს, რომ ევლოთ ქვეყანაზე და ეშოვნათ სადმე ვისიმე ლამაზი და ნიჭიერი ვაჟი, რომ მეფეს გაეზარდა თავის შვილათ.

ნაზირ-ვეზირებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ერთ სახლში წაანყდნენ ერთ ბავშვს და ჰკითხეს: „მამაშენი სად არის“-ო? ბავშვმა მიუგო, – „ჩხუბს სთესავს“-ო.

– „დედაშენი სად არის“-ო?

– „ცრემლს ავალებს“-ო.

– „ღვინო დაგვალევი“-ო. ბავშვმა მოახსენა: „ცხენები ვაზზე გამოაბით და შემდეგ დაგვალევი“-ო.

ვეზირებმა იარეს ეზოში, მაგრამ ვაზი ვერ იპოვეს. ბავშვს უთხრეს: „ვაზი არსად სჩანს“-ო.

რით, მამინ დადგები მოსამართლეთო. ჰკითხეს, – „რათ გინდა დაგთხაროთ თვალე“-ო?

– „იმისთვის, რომ მე ისედაც სწორედ გამოვიტან განაჩენს, მაგრამ თვალეები რომ არ მექნება, მამინ უფრო კანონიერად განვსჯი და უკანონობას და მიდგომას ადგილი არ ექნება“-ო.

დასთხარეს თვალეები და დასვეს მსაჯულად. მას საუცხოვო განაჩენი გამოჰქონდა. მათ მახლობელ სოფელში, ქალი ძროხას წველიდა და ხბოს გაუნყრა. მის ახლოს მღვდელი მიდიოდა ჯორით და ხბოც ვირს გამოეკიდა. ქალმა სთხოვა მღვდელს ხბოს დატოვება, მაგრამ მღვდელმა მოახსენა, ეს ჩემი ჯორის შვილიაო. მამინ ქალმა უთხრა: „ჩვენს მახლობლად კარგი მსაჯულია, წავი-

უცნობის ნაამბობი

– „აბა, ღვინო საიდან მექნება“-ო? – უპასუხა ბავშვმა.

ვეზირებმა ჰკითხეს: „მამაშენი როგორ სთესავს ჩხუბს“-ო?

ბავშვმა უპასუხა: „სთესავს და თუ ვინმე გადვილის ზედა, წეჩხუბება“-ო.

– „დედაშენი როგორ ავალებს ცრემლს“-ო.

– „როგორ და, მეზობელი გარდაიცვალა და იმას სტირის, ჩვენც მოვეკვებით და ისინიც გვიტირებენ“-ო.

ვეზირებს მოეწონათ ბავშვის ნიჭიერი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. წაუყვანეს მეფეს, რომელსაც მოახსენეს, რომ ამაზედ ნიჭიერს ვერავის შეხვდითო. მეფემ მოუწონა მომზადება და თანდათანობით უშეშობესებდა თანამდებობას. ბოლოს უთხრა, მსაჯულად უნდა დაგაყენოთო. მან უარი განაცხადა და მოახსენა, რომ თუ თვალებს დამთხ-

დეთ თვალედათხრილ მსაჯულთან“-ო. მივიდნენ და მოახსენეს თავიანთი საქმე.

მღვდელი უარს იყო და ამბობდა: „ხბო ჩემ ჯორს ეყოლა“-ო.

მამინ მსაჯულმა უამბო: „ერთ ქვეყანაში ზღვიდან თევზები ამოსულან და სულ გაუნადგურებიათ მთელი ჭირნახული“-ო.

მღვდელმა უთხრა: „როგორ შეიძლება, რომ თევზებმა მინაზე სიარული და ჭამა დაიწყონ“-ო. მსაჯულმა უპასუხა: „ასევე არ შეიძლება, რომ ჯორს ხბო ეყოლოს“-ო. მღვდელმა ამოუხო მსაჯულს დათხრილ თვალეში ხელი და თვალეები გაუსაღდნენ.

მღვდელი კი სადაღაც გაქრა.

ჩაწერილია ახალციხეში. შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტი. ფაა5705

თახტობხვებო

უილიამ ბაბლერ ნიიბსი (1865-1939) ირლანდიას

ათასწლეულთა მხვრელო, ლომის და ვეფხვის ნაშობო, შენ, ჩემი გულის მკვლელო და ჩემი სისხლის გამშრობო, სულ მუდამ ბედის მძებნელო, შე ახალგაზრდა ბებერო, მადღაცხებულ აზრთა მცველო და ავ ზრახვათა ჩამშობო, შენ, სატყეარო ძველო, ჩემსავით ობოლო სამშობლოვ! ვინც გემზაკვრება და გველობს, ღმერთმა ყველანი გამოროს! ბევრისთვის ბრძოლის ველო, ზოგისთვის ფულით ნაშოვნო, ძველთაგან ღვინის მსმელო, ძველთაგან დაღლილ-ნაშრომო, გულმონწყალევი და ქველო, ვინ მოთვლის, ვისთვის არ მშობლობ! ხან ბრძენო, ხანაც ხელო. შენ, ჩემი გულის მკვლელო და ჩემი სისხლის გამშრობო, დარდის მინდვრების მხვნელო, გულში შიში არ ამრჩობლო, არც ცრუ იმედი ამრჩობლო, ათასწლეულთა მხვრელო, ლომის და ვეფხვის ნაშობო, სულ მუდამ ბედის მძებნელო, შე ახალგაზრდა ბებერო, მადღაცხებულ აზრთა მცველო და ავ ზრახვათა ჩამშობო,

შენ, სიყვარულო ძველო, ჩემსავით ეულო სამშობლოვ!..

დავტირი მეგობარ ჰოეტს

სიკვდილს ყველა მიჰყავს, ვინც მიყვარდა და მიყვარს, გაღმა სოფელში რიყავს... რა ბედნიერი ვიყავი, როს ერთად ვცლიდით სურას, ერთად ვიღებდით სურათს, არცრას ვდარდობდით სულაც, ფაფარს ვუნწავდით ქურანს. სიკვდილი ჩანდა შორად, ხანაც მიგვაჩნდა ჭორად, მზე ენთო კანდექორად, ვეფარებოდით გორას... საჩვენო ქროდა ქარი, ლამაზს ეტრფოდა თვალი, კაცურ გვიჭრიდა ხმალი, არცვისი გვექონდა ვალი. მაგრამ, ვაი, რომ სოფლად ლანდი ყოფილა ყოფნა... მტრისად გიმტყუნა თოფმა, ჯაჭვიც დაგერღვა თოქმა, არც გზა გამოდგა გრძელი, შემოგეჭამა დღენი, ვით ცხენს ბზიანი თოფრა. მწარემ შეცვალა ტკბილი, მომკვება სიბრძნის კბილი, მაქცია საწყალ მწირად და ის მარგუნა წილად, რომ შენი საქვლის პირას საკუთარ სიკვდილს ვტირიო...

თარგმნა გურამ გომიამაშვილმა

